



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და
სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და
გენერალური გეგმის სქემის შემუშავება (კონცეფცია)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2011 წელი 24 ნოემბერი
ქ. ბათუმი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება	-----	3
საკონკურსო პირობები	-----	4
ტექნიკური დავალება	-----	6
რეკვიზიტები დანართი №1	-----	9
ხელშეკრულების პროექტი	-----	10

საკონკურსო განცხადება

1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119) აჭარის ა.რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავების (კონცეფცია) პროექტის შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).
2. შესყიდვის ობიექტი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავების (კონცეფცია) პროექტი.
3. საკონკურსო პრემიის ოდენობა შეადგენს **15000 ლარს.**
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 27 დეკემბრის 10 საათიდან 2011 წლის 27 დეკემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
5. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 27 დეკემბერს 15 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საკონკურსო პირობები

1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119) აჭარის ა.რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავების (კონცეფცია) პროექტის შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. შესყიდვის ობიექტი -ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავების (კონცეფცია) პროექტი.

3. საკონკურსო პრემიის ოდენობა შეადგენს 15000 ლარს.

4. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

4.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით 50 (ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

9. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

11. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 27 დეკემბერს 15 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა №119 . აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 27 დეკემბრის 10 საათიდან 2011 წლის 27 დეკემბრის 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა №119.

13. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავების (კონცეფცია) პროექტის გადაცემის შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

14. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- ა) ტექნიკურ დავალებას.
- ბ) რეკვიზიტებს დანართი №1-ის მიხედვით.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საპროექტო ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბება - 0.4 კოეფიციენტი.
2. სივრცითი მოცულობითი გადაწყვეტა - 0.4 კოეფიციენტი.
3. გენერალური გეგმის სქემის ეკონომიკური და პრაქტიკული განხორციელება - 0.2 კოეფიციენტი.

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა, მაგრამ არანაკლებ 40 ქულისა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

17. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ნუგზარ მნელაძე ტელ: 577 20-37-27; სულხან მამუჭაძე ტელ: 577 90-60-43.

ტექნიკური დავალება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამანჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის შემუშავებაზე (კონცეფცია)

ძირითადი მოთხოვნა: საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყოს კლიმატური კურორტის განვითარებისათვის სანატორიუმი და ახალგაზრდული სპორტულ-დასასვენებელი კომპლექსი შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი, სასტუმრო კომპლექსი ანდა კოტეჯები, სასეირნო საფეხმავალო ბილიკები, საზოგადოებრივი კვებისა და კულტურულ-გასართობი ობიექტები, ჰაიკინგის (ფეხითმოსიარულეთა ტურიზმი) ბაზა, ლია და დახურული სპორტული მოედნები და სხვა). შესაძლებელია ეკო ტურიზმის განვითარება. მიზანშეწონილია შეეულფრენისათვის დასაჯდომი ბაქანის მოწყობა.

გენერალური გეგმის სქემის შემუშავების მიზანია:

კვლევის შედეგების გათვალისწინებით კონტრაქტორმა უნდა შექმნას გენერალური გეგმის სქემა, რაც უზრუნველყოფს შემდეგი მიზნების გადაწყვეტას:

- საპროექტო ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბება;
- ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდა.
- მიწათსარგებლობაში საზოგადოებრივი, კერძო და სახელმწიფო ინტერესების დაკმაყოფილება;
- ინფრასტრუქტურული და მომსახურების ობიექტების შექმნისა და გაუმჯობესების წინაპირობების მომზადება;

გენერალური გეგმის სქემის შედგენის ამოცანებია.

- - ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების დაგეგმვა;

- ტერიტორიის ზონირება;
- ტერიტორიის სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვა;
- შენობათა განთავსების სქემის შედგენა;
- განხორციელების ეტაპებისა და რიგითობის დადგენა;

გენერალური გეგმის სქემა უნდა მოიცავდეს:

- ტექსტურ ნაწილს;
- თემატური ნაწილი;
- გრაფიკულ ნაწილს;

ტექსტური ნაწილის შემადგენლობა:

- გენერალური გეგმის სქემის განმარტებითი ბარათი;
- ისტორიული მიმოხილვა;
- ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (ფიზიკური და დემოგრაფიული მონაცემები, ლანდშაფტის ტიპი, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მაჩვენებლები), მისი განლაგება დასახლების საერთო სტრუქტურაში;
- ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ლირებულებების კვლევა;
- არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- საპროექტო ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების ხედვა და კომპლექსური პირობები, მათ შორის ფიზიკური, გეგმარებითი, სივრცით-მოცულობითი, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და სხვა.
- გენერალური გეგმის სქემის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- გენერალური გეგმის სქემის განხორციელების ეტაპები და რიგითობა

თემატური ნაწილის შემადგენლობა:

- სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემა;
- მომსახურეობის ცენტრების სისტემა;
- საპროექტო ობიექტების სივრცით-მოცულობითი ხედები ფუნქციონალური თავსებადობის გათვალისწინებით.

გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

- ტერიტორიის სიტუაციური გეგმას; მ 1: 2 000
- ტერიტორიის ორთოფოტო გადაღებას; მ 1: 1 000
- ტერიტორიის ზოგად ზონირების რუკებს; მ 1: 1 000
- დეტალური დაგეგმარების სქემა; მ 1: 500
- საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განთავსების რუკებს; მ 1: 1 000
- საფეხმავლო გზების, ბილიკებისა და ავტოსადგომების გეგმებს; მ 1: 1 000
- სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელის საპროექტო გეგმებს; მ 1: 1 000
- საინჟინრო კომუნიკაციების რუკებს; მ 1: 1 000

გენერალური გეგმის სქემა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ტექსტური, ასევე ელექტრონული გერსით ერთ ეგზემპლარად, დახურული პაპეტით, ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე. წარმოდგენილ დოკუმენტაციას უნდა მიეცეს შემსრულებლის მიერ მოფიქრებული 7 ნიშნა კოდი. შემსრულებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები მოთავსებული უნდა იყოს დახურულ კონვერტში.

პროექტის გრაფიკული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტებით გათვალისწინებულ მასშტაბებში.

ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს PDF ფორმატში ტექნიკური დავალება და რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

გამარჯვებული პროექტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტი კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

რეკვიზიტები

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ბათუმი,

..... 2011 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მინისტრის მოადგილის თემურ გაბაიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ
სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N--- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71200000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკურორტო ადგილ ცისკარაში კლიმატური კურორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის პროექტის (კონცეფცია) აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის საკუთრებაში გადაცემა.
- 1.2 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
- 1.3 ხელშეკრულების სართო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 2.2 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებისაგან.
- 2.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შექმნილი ინსპექტორების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ნუგზარ მნელაძე - ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი.
 - ბ) თამაზ წულაძე - ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
 - გ) სულხან მამუჭაძე - ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;
 - დ) დავით მაკარაძე - ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;
 - ე) მირიან მეტრეველი - ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

3. ანგარიშსწორება

- 3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
- 3.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.
- 3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2011 წლის აჭარის ა.რ რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით, პროექტის აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- 4.2.1 დროულად და კეთილსინდიდსიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 4.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

- 4.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 4.4.1 აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში გადასცეს პროექტი და შესაბამისი ყველა უფლება.

4.4.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.5 მიმწოდებელს უფლება აქვს;

4.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გაუთვალისწინებელი გარემოებები (ფორს მაჟორი)

5.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურობების არსებობის პერიოდით.

5.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

5.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებლ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არის გათვალისწინებული.

8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელ უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11 სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>„შემსყიდველი“</u>	<u>„მიმწოდებელი“</u>
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	
ტელ: (8) (422) 27-35-10	ტელ:
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	
ბანკის კოდი – BAGAGE22	
ა/ნ – GE78BG0000000886744500	
საიდენტიფიკაციო კოდი – 245429200	
მინისტრის მოადგილე:	
/თ. გაბაიძე/	ბ. ა.